სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №1

ქ. ნინოწმინდა „13 " იანვარი 2014 წ.

ერთის მხრივ, ი/მ რაზმიკ ღუმაშიანი საიდენტიფიკაციო კოდი–32001006038, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორი რაზმიკ ღუმაშიანის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი არაგიალის საჯარო სკოლა" საიდენტიფიკაციო კოდი–236689071 წარმოდგენილი მისი დირექტორი ვანიკ ზურნადჟიანის სახით შემდგომში წოდებული „ შემსყიდველი "„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის" მე-3 მუხლის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით დადებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას(დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ახალი **საკვამლური მილის შეცვლა.**

2.2. კლასიფიკატორის კოდი CPV– 50720000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1950 ლარს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებლის ანგარიშწორება იწარმოებს ერთეტაპად, სამუშაოს დასრულების შემდეგ, მიღება - ჩაბარების აქტის შედგენიდან, საქართველოს კანონმდებლობით საჭირო საბუთების წარდგენიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.